**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ბრძანება № 01-02/141**

20 ---- ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

„ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ანნა ვარშანიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 27 აპრილის № 01-02/97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებისა (15.04.2022, ოქმი №22-20/8, 05.05.2022, ოქმი №22-20/9 და 01.06.2022. ოქმი №22-20/10), ანნა ვარშანიძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ 2017 წლის 14 სექტემბრის № 01-09/513 ბრძანების, ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/49 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, რამაზ ხალვაშის (MES 1 22 0000419170, 26/04/2022, MES 5 22 0000454706, 05/05/ 2022, MES 1 22 0000666464, 17/06/2022) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ანნა ვარშანიძის** სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 27 აპრილის № 01-02/97 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **,,ისტორიის"** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ანნა ვარშანიძის** სადისერტაციო ნაშრომის **„დასავლური ცივილიზაციის გავლენები სამხრეთ-დასავლეთ**

**საქართველოზე“ საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 24 ივნისს 17.00 საათზე** №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N1, მე-2 სართული).

2. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფესორი მ. კიკვაძე).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში